პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 55 (10752) | ოთხშაბათი, 6 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარეთ საგაზაფხულო სამუშაოები მინდვრებსა და კლანტაციებში

★ ★ ★

მოწინავეთა მაგალითი



ნაკისრ ვალდებულებებს შევასრულებთ

ვალდებულება იკისრე — შეასრულე კიდეც. ეს დევიზი ჩვენ კარგად გვახსოვს. ამიტომ იყო, რომ შარშან კოლმეურნეებმა ენერგიულად იმუშავეს და წარმატებაც მოიპოვეს. 141 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე 3.300 კილოგრამი ნედლეული უნდა მიგვეღო. ეს დავალება 100,5 პროცენტით შესრულდა, ჰექტარზე მოსავლიანობის გეგმას 100 კილოგრამით გადავაჭარბეთ. 75 საფურაქე ძროხიდან გეგმით თვითეულზე უნდა მიგვეღო 830 კილოგრამი რძე, ფაქტიურად მოწველილია 950 კილოგრამი.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა მინდვრად. 141 ჰექტარზე დავამთავრეთ ჩაის ბუჩქების გადაბარვა, ფოსფოროვანი სასუქების და კალიუმის მარილის შეტანა. ვწმენდთ სადრენაჟო არხებს, ვმუშაობთ 20 ჰექტარი ყამირი მიწის ასათვისებლად. სიმინდის დასათესად მოხნულია 80 ჰექტარი.

ამასთან ერთად არ ვივიწყებთ ციტრუსების მოვლას. ისინი კოლმეურნეობას 17 ჰექტარზე აქვს გაშენებული. აქედან 9 ჰექტარი სრულმოსავლიანია. თუ შარშან 10 ტონა მანდარინი მივიღეთ, წელს უზრუნველვყოფთ 20 ტონის მიღებას. არცერთ წუთს უქმად არ ვკარგავთ და ვიბრძვით იმისათვის, რომ წელს მოვიყვანოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავალი.

კ. შეროზია,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ბეჯითად შრომობენ

მექანიზატორთა შორის სახელი გითქვა ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ვლადიმერ მანაგაძე ხელმძღვანელობს. ეს სატრაქტორო ბრიგადა მომსახურებას უწევს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“.

ვ. მანაგაძის სატრაქტორო ბრიგადამ 1956 წელს რბილ ხვნაზე გადაყვანით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.726 ჰექტარისა 7.797 ჰექტარი დაამუშავა და 6.610 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

მანაგაძის სატრაქტორო ბრიგადამ ვადაზე 22 დღით ადრე და მაღალხარისხოვნად შეაკეთა ტრაქტორები, მისაბმელი მანქანა-იარაღები და მომზადებული შეხვდა გაზაფხულს. ამჟამად ყველა ტრაქტორი მინდვრად არის გასული. მექანიზატორები ბეჯითად შრომობენ. ამ ბრიგადის მექანიზატორები საფუძველს უყრიან 1957 წლის მაღალ მოსავალს.

გ. ბაგაური.

ხელიდან უშვებენ ხელსაყრელ ამინდებს

გაზაფხული ძალაში შევიდა. მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი გამოცოცხლებაა. დღითიდღე აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპს, ყველა პირობას ქმნიან ბარაქიანი მოსავლის მიღებისათვის.

სოფელ ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ჩაის უხვი მოსავლის მიღებაში მდიდარი გამოცდილება აქვთ. აქ მზრუნველობით უკლინან პლანტაციებს, ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ასრულებენ. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე შ. სარიშვილი) და პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ქ. წიქარიძე) ქმედითს ზომებს იღებენ ყველა სამუშაოს დროულად შესრულების უზრუნველსაყოფად. დაამთავრეს 152 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ნიადაგის მსუბუქი გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა. დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ვ. ჯაში, ა. მამალაძე და შ. მეავაზაძე ხელმძღვანელობენ.

ნაგომრელ კოლმეურნეებს, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან მელექედურელ კოლმეურნეებთან, აღებული აქვთ ვალდებულება წელს მოკრიფონ 673.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

დაწინაურდა სოფელ ჯუმათის ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი (თავმჯდომარე მ. ტაკიძე). კარგად მუშაობენ მერიის, ძმითის, შრომის, თხინვალის, ბაზვის, გაღმა დვაბზუს, გურიანთის საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში.

მაგრამ ასე როდი ითქმის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელიც ჩამორჩა ჩაის პლანტაციების დამუშავებაში. 110 ჰექტარიდან ამ კოლმეურნეობას მსუბუქი გადაბარვა სასუქების შეტანით ჩატარებული აქვთ მხოლოდ 50 ჰექტარზე. შემოწმების დღეს, 25 თებერვალს, თბილი, მზიანი ამინდი იყო. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადაში (ბრიგადირი ვ. ჯანუყაძე) 29 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან არცერთი არ მუშაობდა. ეს მაშინ, როცა დაქირავებულ მუშახელს ჰექტარი პლანტაციის გადაბარვაში 560 მანეთს აძლევენ. ასეთივე მდგომარეობაა იმ ბრიგადაში, რომელსაც ი. ქილიფთარი ხელმძღვანელობს. ეს არ ეპატაჟება კოლმეურნეობის ისეთ გამოცდილ თავმჯდომარეს, როგორიც არის ამხ. შ. ჭანუყვაძე.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე გ. გუჯაბიძე), სადაც ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ზოგ ადგილებში პლანტაციები შეუბარავია, ბუჩქებს პირუტყვი ანადგურებს. პლანტაციებში სადრენაჟო არხების გაყვანის სამუშაოები სანახევროდ არის შესრულებული. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეები კ. თოთიძე, დ. ლესელიძე, ვ. მამულაშვილი თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას. მინდვრად მიმუშავე კოლმეურნეებთან სისტემატურად არ ეწყობა სააგიტაციო საუბრები. აგიტატორმა ვ. გოგატაძემ არ იცის, მის სააგიტაციო უბანში რამდენი კოლმეურნეა, ვერ ერკვევა მიმდინარე სამეურნეო საკითხებში. მისი საუბრები ზერელეა.

სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობაში საგრძნობლად ჩამორჩა ციტრუსოვანთა პლანტაციების დამუშავება. დაბალია შრომის დისციპლინა. კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი მუშაობას გაურბის. ასეთები არიან გ. მუჯირი, ვ. მეავია, მ. კოსტავა, გ. თავდიშვილი, ნ. სიორიძე და სხვები. საჭიროა მათ მიმართ კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ფამფალეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ჯანელიძე) ჩაის პლანტაციების დამუშავების ამ საუკეთესო ამინდებს ხელიდან უშვებენ. 88 ჰექტარიდან 25 თებერვლისათვის შებარული ჰქონდათ 15 ჰექტარი პლანტაცია. ჩამორჩნენ აგრეთვე შემოქმედის, ბაღდადის, მაკვანეთის კოლმეურნეობები.

სოფლომამრავების საწყობში დიდი რაოდენობით არის მოსული მინერალური სასუქები, მაგრამ მათს დროულად გატანას რატომღაც აჭიანურებენ შემოქმედის, ლიხაურის, ჭანიეთის, ძიმითისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელები. სასუქების გატანისადმი ასეთ უდარდელ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად შესრულებისათვის მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, გავუთანასწორდეთ მოწინავეებს და მთელი ძალები დავრაზმოთ მიმდინარე წელს ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

რედის მონაწილენი:

ტ. ზაქარიაძე — მტს-ის აგრონომი, **ნ. ძინძლაძე, ა. ართილაყვა** — რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქციის მუშაკები, **მ. ჩხარტიშვილი** — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი მახარაძის მტს-ის ზონაში, **ბ. ჩხაიძე** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია

4 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლში მიიღო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის წევრები დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ ერიხ კორენსის მეთაურობით.

პროფესორმა კორენსმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩამოსულიყო სსრ კავშირში და გასცნობოდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებს. ნ. ა. ბულგანინმა სთხოვა დელეგაციის წევრებს გადასცენ გერმანელ ხალხს სალამი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ყველა პარტიასა და მასობრივ ორგანიზაციას, რომლებიც დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში შედიან, უსურვა შემდგომი წარმატებანი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში თოჰანეს კენიგი. (საკდესი).

მეოწინავეთა მაგალითი

წლევანდელი გაზაფხული [illegible] შარშანდელს. წელს ნაადრევად დაიწყო მინდვრის სამუშაოები. მტს-ებს ახლა ბევრი სამუშაო აქვთ. თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკებმა ტრაქტორების რემონტის საქმეში წითელწყაროელთა მოწოდების პასუხად ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს, ვადაზე თვენახევრით ადრე შეაკეთეს 24 ტრაქტორი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 17 ტრაქტორისა.

მინდვრად რაიონში ყველაზე ადრე თელეთელი მექანიზატორები გავიდნენ. დაწინაურდა ტრაქტორისტი ს. ასლამაზოვი. იგი თელეთის კოლმეურნეობაში პირველი დღიდანვე შეუფერხებლად ამუშავებს მანქანას. მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად უკვე დათესა 46 ჰექტარზე. ამხ. ასლამაზოვი თესვის ყოველდღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებს.

მზესუმზირას თესვასთან ერთად ამზადებენ ნიადაგს სიმინდის დასათესად. ამ საქმეში დაწინაურდა ტრაქტორისტი ი. ხუციშვილი, რომელიც „დტ-54“ მარკის ტრაქტორით ავკალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს და ყოველდღიურად 6-7 ჰექტარს ხნავს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,8 ჰექტარისა.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ორგანიზებულად მიმდინარეობს სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება 70 ჰექტარზე ქერის თესვა დაემთავრებინათ 5 მარტამდე. კოლმეურნეობაში შრომის სწორად მოწყობის შედეგად ეს სამუშაო ვადაზე 5 დღით ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს. ქერი დათესეს 76 ჰექტარზე. კოლმეურნეობას კარგად ეხმარებიან მარტყოფილი მექანიზატორები. მათ უკვე დაიწყეს მზესუმზირას თესვა. ტრაქტორისტი ი. კახაბრიშვილი მზესუმზირას პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ყოველდღიურ ნორმას 180-200 პროცენტით ასრულებს. დ. გუგუნაშვილმა სიმინდის დასათესად ნიადაგი უკვე მოამზადა 320 ჰექტარზე და ამით ნაკისრი ვალდებულებას 100 ჰექტარით გადააჭარბა. ხვნაში ასევე წინ მიდიან ტრაქტორისტები ლ. ჩიტრეკაშვილი და ა. შინჯიკაშვილი.

ბეჯითი შრომაა გაჩაღებული მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ გეგმით გაზაფხულის ქერი 200 ჰექტარზე უნდა დათესონ. ფაქტიურად ამ სამუშაოს უკვე ამთავრებენ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მზესუმზირას თესვა. ტრაქტორისტმა მ. იორამაშვილმა და მთესავმა ა. მიგრიაულმა გაზაფხულის პირველ დღეს კვადრატულ-ბუდობრივად მზესუმზირა დათესეს 12 ჰექტარზე და ამით დღიურ გეგმას 4 ჰექტარით გადააჭარბეს. მათ ტემპი არ შეუნელებიათ.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ უკვე დაამთავრეს საგაზაფხულო ხვნა, ქერისა და მზესუმზირას თესვა.

გარეუბნის რაიონის მოწინავე მხვნელ-მთესველები ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. („კომუნისტის“ კორ.).

* * *

სურათზე: მარტყოფის მტს-ის ტრაქტორისტი მ. იორამაშვილი და მთესავი ა. მიგრიაული გარეუბნის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში მზესუმზირას თესავენ კვადრატულ-ბუდობრივად.

ფოტო შ. გოქაძისა.

მხატვართა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე

მხატვართა სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობს კრემლის დიდ სასხლეში. 4 მარტს ყრილობის დილის სხდომას ხელმძღვანელობდა მოსკოვის საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ფ. ბოგოროდსკი. მან გამოაქეყნა ყრილობისადმი მისალმება, რომელიც მიღებულია სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებისაგან.

სიტყვა ეძლევა პროფესორ უ. ჯაფარიძეს (საქართველოს სსრ). იგი ამბობს, რომ ქართველმა მხატვრებმა, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდებს, ამასთან ეყრდნობიან ეროვნულ ტრადიციებს, ცოტა შესანიშნავი ნაწარმოები რომ შექმნეს. ბევრი რამ გააკეთა ამისათვის საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილმა თბილისის სამხატვრო აკადემიამ, აგრეთვე ერთ კავშირად რესპუბლიკის ფერმწერთა, სკულპტორთა და გრაფიკოსთა გაერთიანებამ. ორატორი აგრეთვე აკრიტიკებს საკავშირო გამოცემლობათა და გაზეთების მუშაობას, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეროვნული რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებითი პრაქტიკის საკითხებს.

დიდ და მნიშვნელოვან საკითხს — შექმნილი ნაწარმოებებისათვის ხალხის წინაშე მხატვრის პასუხისმგებლობის გრძნობას — მიუძღვნა თავისი გამოსვლა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა ს. გერასიმოვმა (მოსკოვი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ, — ამბობს ორატორი, — ფართო პერსპექტივები დაგვისახა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემდგომი განვითარების გზაზე. ს. გერასიმოვი მოუწოდებს სახვითი ხელოვნების ოსტატებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ცხოვრებას, მართლად განასახიერონ იგი მკაფიო მხატვრული სახეებით.

ინტერესით იქნა მოსმენილი ესტონეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ეინმანის სიტყვა. მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ესტონელი ფერმწერების, სკულპტორების, გრაფიკოსების შემოქმედებითს წარმატებებსა და შეცდომებს, განსაკუთრებით შეეხო გამოყენებითი ხელოვნების მდგომარეობას, რომელსაც დიდი ადგილი უკავია ესტონეთის მხატვრულ კულტურაში.

ბ. ნემენსკი (მოსკოვი) ამბობს, რომ ზოგიერთი მუშაკი სრული გულგრილობით ეკიდება თავისი ხალხის დიდ არქიტექტურულ მემკვიდრეობას. ორატორი აყენებს ხალხის ფართო მასების ესთეტიკური განათლებისა და აღზრდის საკითხს. საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, რომ სკოლებიდან გამოდიოდნენ მთელი მრავალფეროვანი კულტურის დამოუკიდებელი და გულისხმიერი აღქმისათვის კარგად მომზადებული მოქალაქენი.

ტაჯიკეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ხოშმუხამედოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი ჯერ კიდევ ცოტას მუშაობს შემოქმედებითს საკითხებზე, სუსტად ეხმარება ეროვნულ კავშირებს. მ. ხოშმუხამედოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა შემოქმედებითს ახალგაზრდობაში, გაუმჯობესდეს სახვითი ხელოვნების პროპაგანდა.

შეკრებილთ მიესალმა კინოს მოსკოველ მუშაკთა დელეგაცია. რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეეფისორი გ. რომალი ლაპარაკობს კინოს ხელოვნების მჭიდრო კავშირზე სახვით ხელოვნებასთან და მოუწოდებს ფერმწერებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს გააერთიანონ თავიანთი ძალები მნიშვნელოვან, ნამდვილად მონუმენტურ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც სრულად გვიჩვენებენ ჩვენი თანამედროვის სახეს.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ ყრილობისადმი, — თქვა მოსკოველმა ა. გონჩაროვმა, — დაგვანახვა, თუ რა ფართო გზა ისახება თვითეული მხატვრის წინაშე, და ახლა საქმე ჩვენზეა. შემდეგ იგი შეეხო ფორმისა და შინაარსის ზოგიერთ პრობლემას, გაილაშქრა სინამდვილის ნატურალისტური გადმოღების წინააღმდეგ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მხატვართა სახელით ყრილობას მიესალმა რუმინეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე აკადემიკოსი იონ ჟალია.

უკრაინელმა მხატვარმა ს. კირიჩენკომ დამაჯერებლად ილაპარაკა იმაზე, რომ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მასშტაბი მოითხოვს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ეხება შენობათა არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებას. არქიტექტორები, მოქანდაკეები და ფერმწერები დიდხანს მუშაობდნენ გათიშულად, რის შედეგადაც ყალყზეებსა და სოფლებში ზოგჯერ ვხვდებით შენობებს, რომლებიც არ შეესაბამებიან საბჭოთა ადამიანების გაზრდილ ესთეტიკურ გემოვნებას.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ მუშა ახალგაზრდობის — სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მოსწავლეების დელეგაციას. მუშა ახალგაზრდობის სახელით ყრილობას მიესალმა გალინა არაპოვა.

დ. სუსლოვმა (მოსკოვის ოლქი) დაახასიათა რუსეთის ფედერაციის სახვითი ხელოვნების მდგომარეობა და განვითარება. მან აღნიშნა მხატვრების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების რიცხვის ზრდა, მათი შემოქმედებითი წარმატებანი, გამოფენების უდიდესი როლი და მოუწოდა უფრო ხშირად მოაწყონ გამოფენები.

შემდეგ სიტყვა მიეცა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარს დ. შმარინოვს, რომელმაც მოუწოდა მხატვრებს იბრძოლონ წვრილმანი აღმწერლობის, ჩამორჩენილ გემოვნებასთან მეშჩანური შეგუების ელემენტების წინააღმდეგ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ თუ ჩვენში წარმოებდა ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ, ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცდებს აღკვეთავდნენ. ორატორი ამბობს, რომ საჭიროა ჩვენი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ფართო პროპაგანდა საზღვარგარეთ. დ. შმარინოვმა დიდი ყურადღება მიაქცია მხატვრული ფორმის საკითხებს. (საკდესი).

მოსკოვი. საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა.

სურათზე: კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში სხდომის დროს. მარცხნიდან მარჯვნივ — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ნ. შტილმანი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ნ. კოსტეცკი და თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნ. პ. კანდელაკი.

ფოტო ე. ევზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ რაპაცკი

4 მარტს მოსკოვში ჩამოვიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ რაპაცკი და მისი თანმხლები პირები. ბელორუსიის ვაგზალზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

შემხვედრთა შორის იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტ. გედე და საელჩოს თანამშრომლები, სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

ბელორუსიის ვაგზალში ა. რაპაცკიმ მოკლე განცხადება გააკეთა მიკროფონთან. (საკდესი).

გეგმა ვადამდე სრულდება

ლენინგრადი, 2 მარტი. (საკდესი). ლენინგრადის ერთ-ერთ წყნარ ქუჩაზე მდებარეობს ჩარხის მოწყობილობის ქარხანა. ეს პატარა საწარმო თავის პროდუქციას გზავნის თითქმის 200 მისამართით, იგი ცნობილია ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში.

საწარმოს კოლექტივი ვადამდე ასრულებს კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმას. კიევის ჩარხ-ავტომატების ქარხანაში უკვე გაიგზავნა ნაწარმი, რომელიც გრაფიკით მარტის ბოლოს უნდა გაგზავნილიყო. შესრულებულია მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და სახეხი ჩარხების ქარხნისათვის აპარატურის მიწოდების კვარტალური დავალება.

წლის დამდეგიდან პროგრამის გადაჭარბებით დამზადებულია საკონტროლო-მარეგულირებელი აპარატურის 700 მექანიზმი.

ისინი სოციალისტურმა შრომამ დააძმობილა

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმება ბოლნისისა და კოტაიქის რაიონების კოლმეურნეთა შორის.

ამ დღეს ბოლნისის რაიონის კულტურის სახლში ახალ ქართულ კინოფილმს „ბაშიაჩუკს" უჩვენებდნენ. დარბაზში მსხდომი ადამიანები ეკრანზე დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კეთილისა და ბოროტის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. ადგილობრივ კოლმეურნეებთან ერთად აქ იყვნენ მათი სომეხი სტუმრები კოტაიქის რაიონის სოფელ ელღოვნიდან.

მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს ბედუკუღმართი ცხოვრების ამსახველმა კადრებმა სტუმარ-მასპინძელთა გონებაში გააცოცხლა ამ ქვეყნისა და სომხეთის ისტორიული წარსული.

სვანსი დამთავრდა. მაყურებელნი გაჩიროადნებული დარბაზიდან გამოვიდნენ ფართო მოედანზე, სადაც მოძმე ერის წარმომადგენელთა შესაგებებლად მრავალ ასეულ კაცს მოეყარა თავი. ადამიანთა ჯგუფებით გარშემორტყმული სომეხი მეგობრები შეკითხვებზე პასუხის გაცემას ძლივს ასწრებდნენ. ქართულ და სომხურ ენებზე გაისმოდა მისალმებათა გულიჩამწყდომი სიტყვები.

ჩვენ ამაზე ერთი დღით ადრე — 28 თებერვალს, საკუთარი თვალით ვნახეთ საქართველოს დედაქალაქიდან ბოლნისამდე სტუმარ-მასპინძელთა მგზავრობისა და შემდეგ დაბის მისადგომებთან მწრომელთა გულმხურვალე შეხვედრის სურათი. აქ შეკრებილიყო ყველა — დიდი და პატარა, კაცი და ქალი. ბევრი მათგანი საკუთარი ავტომანქანებით ჩამოასულიყო მეზობელი სოფლებიდან. უკრავდა სასულე ორკესტრი, გაისმოდა სიმღერები.

ასე იყო ყველგან, სადაც კი სტუმრები იყვნენ — დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში თუ სხვაგან. სომეხი მეგობრები დიდად კმაყოფილი დარჩნენ რაიონის ისტორიული ძეგლების — ბოლნისის სიონის, ქვეშის ციხისა და სხვათა დათვალიერებით.

* * *

დაბა ბოლნისში ლამაზად მოწყობილი სტენდები რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეტყველებენ. კოლმეურნეობათა მიღწევების ამსახველ მრავალ დიაგრამასა და ზრდის ციფრებს შორის მნახველთა ყურადღებას ყველაზე მეტად იპყრობს რაიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელის — დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მაჩვენებლები. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ამ რამდენიმე თვის წინ სომხეთის სსრ კოტაიქის რაიონის ერთ-ერთმა ასევე მოწინავე კოლმეურნეობამ — სოფელ ელღოვნის კუიბიშევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა სოციალისტურ შეჯიბრებაში სწორედ დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გამოიწვია. ბოლნისელთა წარმატებებზე ელღოვნელებს მაშინაც კარგი წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით დარწმუნდნენ ამ მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ თვალსაჩინო შედეგებში.

შარშან კოლმეურნეობამ მიიღო ყველა წინა წლათან შედარებით გაცილებით მეტი მარცვლეული, ყურძენი, ბოსტნეული, აამაღლა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ბოლნისელებმა ძვირფასი სამარცვლე და სასლოსე კულტურის — სიმინდის მოსავლიანობის გადიდებაში, 364 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 32 ცენტნერი მოსავალი. ამან კოლმეურნეობას საშუალება მისცა განემტკიცებინა მეცხოველეობის საკვები ბაზა — წველადობის გადიდების საფუძველთა საფუძველი. შარშანვე არტელმა თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.465 კილოგრამი რძე, ანუ ორნახევარჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ამ სამი-ოთხი წლის წინათ.

მოსავლიანობის ზრდამ გაადიდა კოლმეურნეობის შემოსავალი, შრომადღის ხვედრი. შარშან არტელის ფულადმა შემოსავალმა 3.827.000 მანეთი შეადგინა, თვითეულ შრომადღეზე გაანაწილეს სამ კილოგრამამდე მარცვლეული, 400 გრამი ღვინო, 5 მანეთამდე ფული.

სტუმრები განსაკუთრებული ინტერესით გაეცნენ ამ კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო მექანიზებული ფერმის მუშაობას, რომლის მიღწევები მთელ რაიონში ცნობილია. შენობის მთელ სიგრძეზე საკვებურებთან ორივე მხარეს ჩამწკრივებულია კარგად ნაკვები და მოვლილი 100 ძროხა, რომლებსაც თავს დასტრიალებენ მომვლელები. ფერმაში ყველა შრომატევადი სამუშაო — რწყულება, საკვების წინასწარ შემზადება, მისი მიწოდება და ნაკელის გატანა მექანიზებულია. ცხოველთა კვება ზუსტად რაციონის მიხედვით წარმოებს.

— ის, რაც ჩვენ არა გვაქვს, არის საკვების წინასწარ შემზადება, — ამბობს ელღოვნის კოლმეურნეობის ვეტექიმი კ. ავეტისიანი. — საკვების წინასწარ შემზადების — წველადობის გადიდების ამ დიდი რეზერვის ბოლნისელთა მაგალითისამებრ შემოღება, რასაც აქედან ჩასვლის შემდეგ მალე განვახორციელებთ, ხელს შეგვიწყობს შემდგომ მიღწევათა მოპოვებაში. ჩვენთვის ახალია ხბოების ცალკე გაზრდის წესი.

დიდხანს ათვალიერებდნენ სტუმრები ღორების ავტოსაკვებურებსაც, რომლებიც დღემდე ელღოვნის კოლმეურნეობაში დანერგილი არ ყოფილა. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის ხელმძღვანელებმა საუბარში განაცხადეს, რომ ყველა სიახლეს თავიანთ კოლმეურნეობაში დანერგავენ.

სტუმრები შედიან ფერმის გვერდით მდებარე კოხტა და მკვიდრად ნაგებ შენობაში. აქ ყველაფერი მატერიალური დოვლათის შემქმნელი ადამიანებისათვის არის განკუთვნილი. ცალცალკეა სამუშაო ოთახები სპეციალისტებისა და ფერმის გამგისათვის, სასადილოდ და დასასვენებლად. წითელ კუთხეში ბლომად არის სპეციალური და მხატვრული ლიტერატურა, გაკრულია პლაკატები, ლოზუნგები. სოციალისტური შეჯიბრების დაფასა და კედლის გაზეთში ასახულია მოწინავეთა და ჩამორჩენილთა მუშაობა, მეცხოველეებს სისტემატურად უჩვენებენ კინოსურათებს.

ახლა კოლმეურნეობაში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული იმისათვის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს, ახალი მიღწევები მოიპოვონ მეცხოველეობაში. სტუმრებმა ნახეს მინდვრად, ვენახებსა და ბაღებში სამუშაოდ გასული მშრომელები, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების დროშით ყოველდღე აღწევენ წარმატებებს.

მოწინავე კოლმეურნეობათა მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მათმა წარმატებებმა გაამრავლა მიღწევები ბოლნისის რაიონისა, რომელიც ახლა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე ორი-სამი წლის წინათ. შარშან აქ წინა წელთან შედარებით ჰექტარზე მიიღეს 1,6 ცენტნერით მეტი მარცვლეული, 13 ცენტნერით მეტი კარტოფილი, 23 ცენტნერით მეტი ბოსტნეული და 12 ცენტნერით მეტი ყურძენი. შესამჩნევად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ რაიონს არ შეუსრულებია ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობის დავალება, რაც იმაზე მეტყველებს რომ აქ არსებული რეზერვები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული.

* * *

— ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება მოკლედ გადავცნოთ თქვენი რაიონის ეკონომიკა, — ვეუბნებით ამხ. ა. მარდოიანს—პარტიის კოტაიქის რაიკომის პირველ მდივანს, დელეგაციის ხელმძღვანელს. სანდომიანი სახის, თავაზიანი და დაკვირვებული ამხანაგი სიამოვნებით გვისრულებს თხოვნას.

— კოტაიქის რაიონი ქალაქ ერევნის საგარეუბნო რაიონია, — განაცხადა მან. რაიონის ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებს მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, განვითარებულია მეთამბაქოობა, მევენახეობა. თუ რას მიაღწია ჩვენმა რაიონმა უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის დარგში, ამაზე მეტყველებს შემდეგი მაჩვენებლები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რძის წარმოება გავზარდეთ 35 პროცენტით, ხორცისა — 21, ბაღჩეული კულტურებისა — თითქმის 300, ყურძნისა — 200 პროცენტით. უკანასკნელ სამ წელში თითქმის ორჯერ გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი, ხოლო ორნახევარჯერ — განუყოფელი ფონდები.

შარშან რაიონმა შეასრულა ყველა კულტურის (გარდა მარცვლეულისა) მოსავლიანობისა და სახელმწიფო დამზადებათა გეგმები. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.225 კილოგრამი რძე.

აქ ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდეთ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის — ელღოვნის კოლმეურნეობის მიღწევებზე. მან უკვე გაანაღდა ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. შარშან ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში 45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ათი ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 14 ცენტნერი თამბაქო, 125 ცენტნერის ნაცვლად 200 ცენტნერი ბაღჩეული კულტურები. თვითეულ ძროხის საშუალო წველადობამ 2.240 კილოგრამი შეადგინა. ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე კოლმეურნეობაში მიღებულია 135 ცენტნერი რძე და 28,5 ცენტნერი ხორცი.

კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1.600.000 მანეთი იყო 1955 წლის 1 მილიონი მანეთის ნაცვლად.

— ჩვენთან სიმინდი სრულიად ახალი კულტურაა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ შარშან პირველად დავთესეთ იგი და მოსავალი შედარებით მცირე — ჰექტარზე მხოლოდ 20 ცენტნერი მივიღეთ, — ამბობს ელღოვნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ზ. ზაქარიანი. ამიტომ ბოლნისში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი მეგობრების გამოცდილებას ამ კულტურის წარმოების დარგში და ბევრი რამ ახალიც ვისწავლეთ, ეს უმთავრესად ეხება სიმინდის მეთესლეობას (დარაიონებული ჯიშები, ჰიბრიდული თესლის თესვა და სხვ.). მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვით წელს ამ კულტურის მაღალ მოსავალს მოვიყვანთ.

* * *

მოვიდა სტუმრებთან გამოთხოვების დრო. საზეიმოდ მორთულ კულტურის სახლში დასკვნითს საღამოზე შეიკრიბნენ სომეხი მეგობრები და რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რათა გაეფორმებინათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დაბა ბოლნისის სტალინის სახელობისა და ელღოვნის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებს შორის, აგრეთვე ბოლნისისა და კოტაიქის რაიონებს შორის. შეკრება გახსნა პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ქუტიძემ. გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ელღოვნის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ზაქარიანმა, დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხიდაშელმა, ელღოვნის კოლმეურნეობის მეთამბაქოემ რ. ბაღდასარიანმა, დაბა ბოლნისის კოლმეურნეობის წევრმა დ. როსნაძემ, ბრიგადირმა ე. ჯაფარიძემ, პარტიის კოტაიქის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარდოიანმა.

შეკრებაზე გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი. კოტაიქის რაიონის მშრომელები კისრულობენ წელს მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 10,3 ცენტნერი მარცვლეული, 13 ცენტნერი თამბაქო, 150 ცენტნერი ბოსტნეული, თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.300 კილოგრამი რძე.

სერიოზული ვალდებულებები იკისრეს ბოლნისის რაიონის მშრომელებმაც. წელს ისინი მთელი ნათესი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 12 ცენტნერ მარცვლეულს, 12,5 ცენტნერ თამბაქოს, 60 ცენტნერ ყურძენს, თვითეულ საფურაქე ძროხაზე — 950 კილოგრამ რძეს.

— წარმატებით შეკასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, ღირსეული საჩუქრები დავუმზადოთ დედა-სამშობლოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის! — ნათქვამია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასკვნითს ნაწილში.

* * *

3 მარტს კოტაიქის რაიონის მშრომელთა დელეგაცია თბილისში დაბრუნდა. 4 მარტს იგი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ და ამხ. პ. ვ. კოვანოვმა. იმავე დღეს სტუმრები ერევანში გაემგზავრნენ.

გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ხიდაშელი (მარცხნიდან პირველი) სტუმრებს აცნობს სასოფლო-სამეურნეო არტელში სიმინდის მეთესლეობის მდგომარეობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჟამო საკითხი

ქართველ ხალხს

ჩვენს ტროლებს თქვენს ყანებში
საბუდე აქვთ სანეტარო,
თქვენი ღრუბლის ქარავნები
ჩვენს ხევებში სვამენ წყაროს.

ჩვენს დაბურულ ხეივნებში
ღამეს ათევს თქვენი ქარი,
ჩვენი ვერხვიც თქვენთან დარად
შეირხევა როგორც ქნარი.

ჩვენს ლაღ ირემს ნანას უმღერს
მყუდროება თქვენი ტყეთა,
ჩვენს მთაზე რბის თქვენი შველი,
აღარც შიშობს შველის დედა.

ვინ არ იცის: ერთი მზის ქვეშ,
ათასწლოვანთ, მინდორ-ველად,
თქვენს ტაბილ ურმულს ბანს აძლევდა
ჩვენი ტაბილი ოროველა.

რა ვუყოთ, რომ სხვადასხვაა
მარად ჩვენი მკვიდრი ენა,
ერთმანეთი რომ გვიყვარდეს,
გული განა გვიშლის ჩვენა?

სომეხს, ქართველს ძმები ჰქვია,
გვწამს მოდგმიდან ჩვენი მხარე,
ძმობასა და პურ-მარილში
არ ვურევდით ჩვენ სიმწარეს.

ერთი იყო ჩვენი გული,
გაბზარულიც არ ყოფილა,
საზღვარს ადარ გაუვლია,
არასდროს არ გაყოფილა.

არ არსებობს ჩვენში მიჯნა,
არც მესაზღვრე, არც დარაჯი,
მესაზღვრეა, ჩვენს არაქსთან
აგერ რომ დგას მაზარაში!

დე უსაზღვრო ჩვენს სამშობლოს
ასცდეს მტერი ათასგვარი,
არასოდეს ადარ იყოს
ჩვენში მიჯნა და საზღვარი!

სომხურიდან თარგმნა
ალიო ბირცხულავამ.

მუშსოფლკორები გვწერენ

ახალი ტექნიკა ახალ ქარხანაში

„სოიუზნეფტებურმაშრომონტაჟის" თბილისის მექანიკურ ქარხანაში, რომელიც ამზადებს სათბობის ზუსტ აპარატურას, ახლახან გამართეს და აამუშავეს ახალი დანადგარებით აღჭურვილი სამჭედლო საამქრო, რომელიც უკვე გვაძლევს პროდუქციას — სათბობის აპარატურის დეტალების ნაჭედს.

ამასთან ქარხანაში განხორციელდა მთელი რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ამუშავდა ახალი ხიდური ამწეები, ტელფერები, მიღებული და დამონტაჟებულია მრავალი ტიპის ჩარხები და დანადგარები.

ყოველივე ეს დიდად უადვილებს ქარხნის კოლექტივს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

ა. გასპარიანი,
საინსტრუმენტო საამქროს უფროსი.

კოლმეურნეები მოითხოვენ მაღაზიის გახსნას

სოფელ ჩარგალში — დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას სამშობლო სოფელში, სადაც გამსხვილებული კოლმეურნეობაა, კოოპერაციული მაღაზია არ არის. აქაურ კოლმეურნეებს სულ წვრილმანი, ყოველდღიურად საჭირო სამომხმარებლო საქონლის შესაძენად 10-12 კილომეტრის მანძილზე უხდებათ წასვლა, ვინაიდან უფრო ახლოს მაღაზია არსად არის.

ამ სოფელში ზაფხულობით უფრო მეტად, ვიდრე წლის სხვა დროს, მრავალი ექსკურსანტი ჩამოდის ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად. ისინი მოკლებული არიან საშუალებას ადგილობრივ თუნდაც ასანთი და პაპიროსი შეიძინონ. ამიტომ იყო, რომ ჩარგალელმა კოლმეურნეებმა არაერთხელ აღძრეს შუამდგომლობა სოფლად კოოპერაციული მაღაზიის გახსნის შესახებ, მაგრამ ამ შუამდგომლობას დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. დუშეთის რაიკოოპკავშირი ამ საქმისთვის თავს არ იწუხებს.

ეცადოს ჩვენს თხოვნას ყურადღება უნდა მიაქციოს, დაავალოს დუშეთის რაიკოოპკავშირს ჩარგალში კოოპერაციული მაღაზიის გახსნა.

გ. მარცვალაშვილი,
ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დავიწყებული დაპირება

ჩოხატაურის რაიონში ამჟამად აგურის წარმოება არ არის, ხოლო მოთხოვნილება აგურზე, როგორც ძირითად საშენ მასალაზე, მეტად დიდია. წინათ არსებული პატარა და პრიმიტიულად მოწყობილი აგურის ქარხანა საბადოში თიხის გათავების გამო აღარ მუშაობს.

ამიტომ ჩვენ გვინდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მოვაგონოთ მის მიერ 1954 წელს ჩოხატაურის რაიონის მშრომელებისათვის მიცემული დაპირება, რომ აეგებდნენ ახალ ქარხანას. იმ ხანებში სამინისტროდან მართლაც გამოგზავნეს გეოლოგები თიხის საბადოს შესარჩევად. გეოლოგებმა იმუშავეს, გამონახეს სათანადო ადგილი, ყოველივე ეს სახელმწიფოს 60 ათას მანეთამდე დაუჯდა, მაგრამ აგურის ქარხნის მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა.

დროა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გაიხსენოს და შეასრულოს თავისი დაპირება. ეს იქნება საქმით დახმარება ჩოხატაურელი ბინათმშენებლებისათვის.

გ. ახალაია,
რაიონული გაზეთის თანამშრომელი.

ძირეული პრესის მიმოხილვა

ერევნული ფანტაზია

ფეიქრთა კედლის გაზეთი

— ჩვენი საამქრო საწარმოო გეგმებს ყოველთვიურად ასრულებს. შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებიც იშვიათია. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. საამქროში ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კადრების მომზადებას, — წერდა თბილისის საფეიქრო საგალანტერიო ფაბრიკის კედლის გაზეთში საქსოვი საამქროს ოსტატი გ. ლაფერაშვილი. წერილში ავტორი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ მოწყობილიყო მუშათა სწავლება ქსოვის, ნართის ტექნოლოგიის, საქსოვი მანქანებისა და მოწყობილობის მუშაობის ღრმად დაუფლებისათვის.

კედლის გაზეთში ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ საქსოვ საამქროში სპეციალურად მოეწყო საწარმოო თათბირი, რომელმაც განიხილა ახალგაზრდა მქსოველების კვალიფიკაციის გაუმჯობესების საკითხი. თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ფეიქრები კარგად დაეუფლნენ თავიანთ პროფესიას. შემცირდა წუნი. საამქრომ კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა. ახლა იგი ყოველთვიურ დავალებებს 105-110 პროცენტით ასრულებს.

კედლის გაზეთი **„ჩვენი ხმა"** ფართოდ აშუქებს ფაბრიკის მრავალფეროვან ცხოვრებას, იმას, თუ როგორ ასრულებენ მუშები ნაკისრ ვალდებულებებს, რომელმა საამქრომ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რა კეთდება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, აკრიტიკებს ნაკლოვანებებს, იბრძვის მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვისათვის. კედლის გაზეთში გამოქვეყნებული მრავალი მასალა კარგად არის გაკეთებული და აქტუალურ საკითხებს ეხება.

ფაბრიკაში ერთ-ერთი მოწინავეა ახალგაზრდა მქსოველი ქალი ნ. ონიკაშვილი. იგი მეორე წელია, რაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საწარმოში მოვიდა, სწრაფად აითვისა მქსოველის რთული პროფესია და მალე მოწინავეთა რიგებშიც ჩადგა. კარგად მოიქცა კედლის გაზეთი, რომ გამოაქვეყნა ონიკაშვილის წერილი თავისი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

„მე მჯერა, თუ საქმეს ბეჯითად და სერიოზულად მიუდგები, — წერდა იგი, — წარმატებებსაც მოიპოვებ. კარგი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის პირველ რიგში საჭიროა დაზგების, მექანიზმების ტექნოლოგიური პროცესების ღრმად შესწავლა. ამიტომ თავიდანვე მთავარი ყურადღება სწორედ ამას მივაქციე. პირველად შევისწავლე ქსელისა და მისაქსელის წესიერად და სწრაფად გამართვა, ტექნოლოგიური პროცესების, მექანიზმების ურთიერთმოქმედება. ახლა უკვე ბევრ რამეში აღარ მჭირდება ოსტატის დახმარება. მანქანების დეფექტების გასწორებას მე თვითონ ვახერხებ. სამუშაო ადგილზე მივდივარ 15-20 წუთით ადრე. ვამოწმებ საქსოვი დაზგის ქსელისა და მისაქსელის გამართულობას, ვიმარაგებ ნედლეულს, რის შემდეგ ვიწყებ მუშაობას"...

კედლის გაზეთში გამოქვეყნებულმა ნ. ონიკაშვილის ამ წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ფაბრიკაში. ბევრმა მქსოველმა დაიწყო მუშაობა მისი მაგალითის მიხედვით და კარგ წარმატებებსაც აღწევენ. ასეთი წერილების გამოქვეყნებით კედლის გაზეთი სერიოზულ დახმარებას უწევს ფაბრიკის კოლექტივს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ფაბრიკის ცხოვრების მრავალფეროვანი საკითხის გაშუქებისათვის თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ავტორთა ფართო აქტივი. იგი სისტემატურად აწყობს მუშკორთა თათბირებს, კოლეგიის წევრები ესაუბრებიან მათ საგაზეთო მუშაობის საკითხებზე, ეხმარებიან წერილების მომზადებაში. ყოველივე ამის შემდეგ გაზეთი საინტერესოდ კეთდება. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია თავის სხდომებზე რეგულარულად განიხილავს ყოველი ახალი ნომრის გეგმას, გულისხმიერად ეკიდება მუშკორთა შენიშვნებს კარგი, საინტერესო ნომრის გამოშვებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კედლის გაზეთი „ჩვენი ხმა" მრავალ საინტერესო აქტუალურ საკითხს აშუქებს, მას ნაკლოვანებებიც აქვს. მაგალითად, კედლის გაზეთის ფურცლებზე არაფერი არ ქვეყნდება ფაბრიკის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის შესახებ. ამ საქმეს გაზეთი რატომღაც ყურადღებით ტოვებს. ამის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ საერთოდ ფაბრიკაში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობა ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანია. ამიტომ ეს საკითხები კედლის გაზეთის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საწარმო-დაწესებულებებში ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. პარტიის ოჩამჩირის რაიკომი ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს. პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომმა მოიწვია რაიონის აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტთა გამგეების თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივნის ს. ალანიას მოხსენება თემაზე: „ამომრჩევლებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები". თათბირის მონაწილეებისათვის აგრეთვე წაკითხულ იქნა მოხსენებანი: „საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ", „საგიტაციო პუნქტების შესახებ" და სხვ.

კონფერენცია კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე

ფოთის ნავსადგურში მეორე წელია არსებობს და ნაყოფიერად მუშაობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე. ამ წრის მსმენელებმა წარმოების ეკონომიკის მრავალი საინტერესო საკითხი განიხილეს და შეისწავლეს.

ნავსადგურის საწარმოო გეგმის შესრულება დიდად არის დამოკიდებული რკინიგზის ფოთის სადგურის საქმიანობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ნავსადგურსა და რკინიგზას შორის ჯერ კიდევ არ წარმოებს შეთანხმებული, რიტმული მუშაობა. სწორედ ამ შეუთანხმებელი მუშაობის მიზეზების გამორკვევის, მათი გამოსწორების საკითხი აინტერესებდათ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ ამხანაგებს, და მათ გადაწყვიტეს იგი თეორიულ კონფერენციაზე მსჯელობის საგნად გაეხადათ. მოხსენების გაკეთება საკითხზე — ნავსადგურისა და რკინიგზის სადგურის მუშაობის ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის მეთოდის შესახებ — დაეევალა ნავსადგურის საატვირთო და კომერციულ სამუშაოთა უფროსს ამხ. ი. ხოლოდს.

დანიშნულ დღეს ნავსადგურის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს არა მარტო წრის წევრებმა, არამედ მეამწეებმა, დისპეტჩერებმა, რკინიგზის ფოთის კვანძის მუშაკებმა.

მომხსენებელმა ამხ. ი. ხოლოდმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც უკანასკნელ ხანებში განხორციელდა ნავსადგურში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

— უფრო დიდი პერსპექტივებია დასახული მეექვსე ხუთწლედში — თქვა მან. — საზღვაო ტრანსპორტმა ტვირთბრუნვის ოდენობა 1960 წელს უნდა გაზარდოს 2,1-ჯერ 1955 წელთან შედარებით. ამ ამოცანის შესასრულებლად ნავსადგურის ყველა რგოლი სრულიად შეუფერხებლად და მოუცდენლად უნდა მუშაობდეს. მაგრამ დღემდე ტვირთის თანმიმდევრულ გადამუშავებას ვერ ვახერხებთ. ჯერ კიდევ არის გემების მოცდენის, საწყობებში ტვირთის გაჩერების შემთხვევები, რადგან რკინიგზა ვაგონებს დროულად ვერ გვაწვდის. ნავსადგურსა და რკინიგზას შორის, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ვერ დავნერგეთ კომპლექსური, რიტმული მუშაობა. ხშირია შემთხვევა, როცა ნავსადგურის მიზეზითაც ცარიელი ვაგონები მთელი საათობით გამოუყენებელია. რკინიგზის ვაგონებისა და გემების მოძრაობის გრაფიკის დარღვევა გავლენას ახდენს საერთო გეგმების შესრულებაზე. — საჭიროა, — დასკვნის მომხსენებელი, — ჩვენს მუშაობაში დაინერგოს ერთიანი ტექნოლოგიური პროცესები, დაწესდეს ორი სახის ტრანსპორტის ტვირთების რეგულირების ზუსტი სისტემა.

თეორიულ კონფერენციაზე რკინიგზის სადგურის კომერციული ცვლის ხელმძღვანელმა რაციონალიზატორმა ამხ. პ. კუპრაძემ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები წამოაყენა. ნავსადგურის მუშები, — განაცხადა მან, — ვაგონების ნორმალურ დატვირთვას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ისინი არ იყენებენ ნოვატორი რკინიგზელის გურიევის მეთოდს, რომლის პრაქტიკაში დანერგვა საგრძნობლად გაუმჯობესებს დატვირთვის ხარისხს, ოთხღერძიან კომბინირებულ ვაგონზე 57 ტონა ტვირთის ნაცვლად 62-63 ტონა ტვირთი მოთავსდება. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს ჯერჯერობით კიდევ არ კეთდება.

— ნავსადგურის დასატვირთ ობიექტებზე (ჩიხებში) ვაგონების მოძრაობა, — თქვა ამხ. კუპრაძემ,—უნდა ხდებოდეს სპეციალური საშვის საშუალებით, საჭირო არ უნდა იყოს დისპეტჩერისა და მორიგის გამოძახება. ხშირია შემთხვევები, როცა ჩვენგან გაგზავნილ ვაგონს ჩიხებში არ უშვებენ დასატვირთავად, არც დატვირთულ ვაგონებს გზავნიან უკან, თუ სპეციალურად არ დავურეკეთ. ყოველივე ეს დროის დიდ დაკარგვას იწვევს.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის ფოთის სადგურის უფროსი შ. ბარამია, ნავსადგურის უფროსის მოადგილე გ. ვატაევი, ნავსადგურის მექანიზაციის უფროსი ი. ფრენკელი და სხვ., რომლებმაც ბევრი საყურადღებო და საინტერესო წინადადება წამოაყენეს.

როგორც კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, კარგი იქნება, რომ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე უფრო ხშირად მოაწყობდეს თეორიულ კონფერენციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

თავმჯდომარეს თვალი თბილისისაკენ უჭირავს

სოფელი მარტოთუბანი მთის კორტოხებზეა გაშენებული. კოპწია ეზოებში აგურისა და თლილი ქვის ერთ და ორსართულიანი სახლები დგას. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებიდან სათუთად მოვლილი ვაზები გამოიყურებიან.

მარტის პირველი დღეა, თპილა, ყვირილას თვალწარმტაც ხეობაში, როგორც იტყვიან, ხეში წყალი ჩამდგარა, კვირტები დამძიმებიათ ტყემლებს და სადაც არის თეთრად იფეთქებენ.

კოლმეურნეები სამუშაოდ არიან გასული. ზოგი მინდვრებს ასუფთავებს, ზოგი ვაზსა სხლავს, ზოგს სასუქი გააქვს ვენახებში, მინდვრებსა და ბოსტნებში.

— შარშან რამდენი შრომადღე გამოიმუშავეთ? — შეეკითხეთ კოლმეურნე ა. ყვავაძეს, რომელიც ამ დღეს გზის პირას ვაზს სხლავდა.

— ექვსას ორმოცდაათი! — გვიპასუხა მან.

საუბარში ჩაერია მეორე კოლმეურნეც. ეტყობოდა მას ვერ აკმაყოფილებდა გასულ წელს შრომადღეზე განაწილებული მოსავალი.

— რას იტყვით, ახალმა თავმჯდომარემ ხომ კარგად მოჰკიდა ხელი საქმეს? — ვეკითხებით მას.

— ახალმა თავმჯდომარემ?! — გაიმეორა შეკითხვა და ცოტა ხანს შეჩერდა. ჯერ ჩვენ გადმოგვხედა, შემდეგ კოლმეურნეობის აგრონომს, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გაიღიმა და განაგრძო.

— ჰო-ო, როგორ გითხრათ, საქმის გაკეთება არ შეუძლიაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ სოფელს რომ ვერ შეეგუა, ეს ფაქტია... არა, შეიძლება მომავალში შეეგუოს კიდეც, მაგრამ უცოლშვილოდ აქ ცხოვრება გაუჭირდება. აბა რა ქნას, ისინი თბილისში ცხოვრობენ, თვითონ მარტოთუბანში მარტოდმარტოა... ხან ცუდ სიზმარს ნახავს კაცი, ხან, რა თქმა უნდა, მოენატრება შვილები და, ბუნებრივია, უნდა მიაკითხოს. მისვლა-მოსვლას დრო უნდა. მოგეხსენებათ, თავმჯდომარე სოფელში თუ არ ტრიალებს, ისე საქმე წინ ვერ წავა.

კოლმეურნის ეს სიტყვები გაგვახსენდა, როცა შევხვდით და ვესაუბრეთ ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტოთუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ დათიაშვილს.

მიხეილ დათიაშვილი 30-ათასელია.

30-ათასელი!

რა ამაყად ისმის ეს სახელი. 30-ათასელთა ხელით წელიწადნახევარში რამდენი ახალი საქმე გაკეთდა, სოფლად რამდენი საინტერესო და საყურადღებო წამოწყების მოწმე გავხდით. კოლმეურნეები ამბობენ: „მოვიდნენ სოფელში გამოცდილი, ინიციატივიანი მუშაკები, თან მოიტანეს დისციპლინა, ახლის გრძნობა, მეტი საკოლმეურნეო დოვლათისათვის ბრძოლის უნარი“.

ეს უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა სამეურნეო წლის დამთავრებისას, როცა კოლმეურნეებმა შრომადღეებზე გაცილებით მეტი შემოსავალი მიიღეს, ვიდრე წინა წლებში.

სოფელ მარტოთუბანში კი?!.. აქაც შეიცვალა მდგომარეობა, მაგრამ შემდეგნაირად: თვითეულ შრომადღეზე გაცილებით ნაკლები რაოდენობით დარიგდა მარცვლეული, ვიდრე შარშან.

მკითხველი იტყვის: რა ვუყოთ მერე, შეიძლება სოფლის მეურნეობაში ერთმა წელმა მოლოდინი ვერ გაგიმართლოს, მით უმეტეს, რომ შარშან ცალკეულ პერიოდებში ამინდი ხელსაყრელი არ იყო. სწორია, მაგრამ ყურძნისა და სიმინდის მეტად დაბალი, შეიძლება ითქვას, სამარცხვინო მოსავალი ამ კოლმეურნეობაში, მარტო უამინდობის ბრალი რომ ყოფილიყო, მაშინ როგორ შეიძლებოდა იმავე სოფელში საკარმიდამო ნაკვეთებზე გლეხებს მაღალი მოსავალი მიეღოთ?! განა ერთმანეთის გვერდით არ დევს ეს მიწები, ერთი ცა არა ხურავთ?!..

ერთ რამეში ვეთანხმებით მ. დათიაშვილს — მას მეტად ჩამორჩენილი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა დახვდა, მაგრამ ეს მისთვის მოულოდნელი ხომ არ იყო. იგი ხომ ჩამორჩენილობის დასაძლევად წავიდა. განა 1955 წლის აპრილში თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშებთან მან არ განაცხადა: „სურვილი მაქვს წავიდე სამუშაოდ ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში. ვკისრულობ ვალდებულებას მთელი ენერგია და ძალღონე მოვახმარო იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობის მშრომელებს. შევეცდები ღირსეულად გავამართლო პარტიისა და ხალხის ნდობა“... და სხვ.

„ვალდებულება იკისრე — უნდა შეასრულო რაღაც უნდა დაგიჯდეს“— ასეთი დევიზი აქვთ საბჭოთა ადამიანებს, როცა ისინი რაიმე ვალდებულებას კისრულობენ პარტიის, სამშობლოსა და ხალხის წინაშე. სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ეხმაურებოდნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას, სამუშაოდ მიდიოდნენ იქ, საითაც ჩვენი სოციალისტური სამშობლო მოუხმობდა. შემოქმედებითი შრომის მდიდარი გამოცდილების მქონე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, საწარმოთა სპეციალისტები პარტიის მოწოდებისთანავე წავიდნენ სოფლად სამუშაოდ; მათ აღფრთოვანებებდათ და აღფრთოვანებთ დიდი პატრიოტული გრძნობა — მთელი თავიანთი ენერგია და გამოცდილება გამოიყენონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მათი შემოქმედებითი შრომის ეს ახალი გზა აა-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა. ისინი მიდიოდნენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, სადაც მოუწესრიგებელი იყო შრომა, დაბალი იყო მოსავალი, დანერგილი არ იყო მოწინავეთა გამოცდილება, სადაც არ ზრუნავდნენ კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის.

და აი მიხეილ დათიაშვილიც — თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშაკი, რომელმაც სურვილი განაცხადა წასულიყო სოფლად სამუშაოდ, წელიწადნახევრის წინათ ერთხმად აირჩიეს ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტოთუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

მ. დათიაშვილი გაეცნო კოლმეურნეობას. მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. ბევრი კოლმეურნე გაურბოდა შრომას, დაბალი იყო როგორც ყურძნის, ისე მარცვლეული კულტურების მოსავალი, შრომადღის ღირებულება ვერ იწვევდა მატერიალურ დაინტერესებას. მაგრამ მ. დათიაშვილმა ვერ გამოიჩინა ორგანიზატორული უნარი, საკოლმეურნეო საქმისადმი სიყვარული, ისეთი თაოსნობა, რომლითაც დაინტერესებდა კოლმეურნეებს, აქტიურად ჩაებამდა მათ კოლექტიურ შრომაში, და კოლმეურნეობის ცხოვრება ძველებურად მიემართებოდა. არც ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები იწუხებდნენ თავს ახალი თავმჯდომარის დასახმარებლად. დათიაშვილიც თანდათან შეეგუა ჩამორჩენას, ხელი ჩაიქნია და თვითდინებას გაჰყვა.

მ. დათიაშვილს, კოლმეურნეობაში სამუშაოდ რომ წავიდა, გადაწყვეტილი ჰქონდა გამხდარიყო იმ სოფლის მკვიდრი, მაგრამ პირველმა შთაბეჭდილებამ, პირველმა სიძნელეებმა, რთულმა სამუშაოებმა, რომლებმაც უძილო ღამეებიც კი მოითხოვეს, თბილისის ლამაზი ქუჩებისაგან განსხვავებულმა სოფლის ტალახიანმა გზებმა საზეიმო დაპირებაზე ხელი ააღებინეს. თავმჯდომარეს არ აღმოაჩნდა უნარი მთელი შეუპოვრობით დაეძლია სიძნელენი.

გავიდა წელიწადნახევარი. თბილისი, ცოლ-შვილი უფრო სანატრელი შეიქნა... კოლმეურნეობის ცხოვრებაში კი ცვლილება ხდებოდა მხოლოდ... უარესობისაკენ... ამჟამად წინანდებურად შეუწყნარებლად დაბალია შრომის დისციპლინა. შარშან შრომისუნარიანი მუშახელიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არა ჰქონდა თითქმის 50 პროცენტს. ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 13 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა. მეტად დაბალი იყო სიმინდის მოსავალიც.

კოლმეურნეობას თავისუფლად შეუძლია მოაწყოს წისქვილის ქვისა და ჩარხის ქვის კარიერები. არიან კოლმეურნეები — ამ საქმის ნამდვილი ოსტატები, ქვებიც ბლომად არის... მაგრამ არ არის მეთაური... არ არის ინიციატივა, ზრუნვა რეზერვების გამოსაყენებლად.

ვენახი მარტოთუბანში მცხოვრებთა შემოსავლის მთავარ წყაროდ ითვლება, მაგრამ კოლმეურნეობისათვის ეს აბა რა მთავარი წყაროა, როცა მხოლოდ 13 ჰექტარზე აქვთ ვენახი გაშენებული და აქედან მხოლოდ 8,83 ჰექტარი იძლევა მოსავალს. მოსავლიანობის მიხედვით საცოდავად გამოიყურება ეს მცირე ნაკვეთიც კოლმეურნეთა საკარმიდამო ვენახებთან შედარებით. „მაინც ვერაფერს მივიღებთ აქედან, სჯობს საკარმიდამოს მივხედოთო“, — ამბობენ გლეხები. რთველის დროს ხომ დიდ დანაკარგებს ჰქონდა ადგილი. ასევე იყო სიმინდის მოსავლის აღებისას.

— ამ დანაკარგებმა კიდევ უფრო უბარიქო გახადა მოსავალი, — ამბობს კოლმეურნეობის აგრონომი ილია ფერადაე. — რა ვქნა, მოსავლის აღების დროს ვეხვეწები ბრიგადირებს, კოლმეურნეებს: ე, ბიჭო, მაცალეთ, ეს მოსავალი საწყობამდე მიმატანინეთ, გავიგოთ მაინც რამდენი მოვიდა-მეთქი, მაგრამ ვინ გვაცლის, თვალსა და ხელს შუა გვიქრება წლის ნაამაგარი...

ხედავთ, რანაირი დისციპლინაა!

აქაური ნიადაგი პირდაპირ გულს იხსნის ვენახისათვის, მაგრამ ვინ იზრუნა მისი ფართობის გადიდებაზე. ბოსტნეულს შეეძლო საგრძნობი თანხა შემოეტანა კოლმეურნეობის სალაროში, მაგრამ მებოსტნეობისათვის თავს არავინ იწუხებს.

რომ ჰკითხოთ ამხ. მ. დათიაშვილს, მისი მისვლის შემდეგ ახალი რა გაკეთდა კოლმეურნეობაში, იგი მაშინვე გიპასუხებთ: მოვაწესრიგე სასაწყობო მეურნეობა, განვაახლე ფერმის ნაგებობა, რემონტი გავუკეთე გამგეობის შენობას. ეს არის და ეს. შევიხედეთ საწყობში... ვნახეთ, დავთვალიერეთ— არაფერი სახარბიელო შიგ არ აწყვია. რისი საწყობია, კაცმა არ იცის! ფერმა? — მასში 12 ძროხა და 5 ღორია. თხა ზოგჯერ მეტს იწველის, ვიდრე აქაური ძროხა.

ასეთია ამ კოლმეურნეობის ცხოვრებისა და საქმიანობის სამწუხარო, მაგრამ ნამდვილი სურათი.

ჩვენ ეს ფაქტი იმიტომ გამოვიტანეთ, რომ იმ დიდ და მრავალრიცხოვან სახელოვან კოლექტივში, 30-ათასელ მოწინავე ადამიანთა რიცხვში, რომლებმაც მეტად სერიოზული მიღწევები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, აქა-იქ გამოერევნენ ადამიანები, რომლებმაც ნებსით თუ უნებლიეთ ვერ გაამართლეს თავიანთი მოვალეობა. ისინი თავს არ გრძნობენ კოლმეურნეობის მუდმივ წევრად, არ სახლდებიან სოფელში, თვალი დედაქალაქისაკენ უჭირავთ, ფიქრობენ — გაივლის ერთი-ორი წელი, ხელფასის ლიმიტი ამოიწურება და კვლავ ქალაქს დავუბრუნდებითო.

ასეთი ფრენია თავმჯდომარეები, რომელთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს სამარცხვინოდ შორდება, კოლმეურნეთა სამართლიან გულისწყრომას იმსახურებენ. უნდა ვურჩიოთ ასეთ „მუშაკებს“, სანამ გვიან არ არის, ღრმად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას, კრიტიკულად შეაფასონ იგი, მთელი ენერგიით ჩაებან საკოლმეურნეო ცხოვრებაში, თორემ, შემდეგ გვიან იქნება თითზე კბენანი.

გ. ხუსკივაძე,
გ. თათარიშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

სურათზე: — რაიონულ ცენტრ თერჯოლის ერთ-ერთი ქუჩა.

ფოტო ბ. ლუცენკოსი.

თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის მეთექვსმეტე საამქროში მაღალნაყოფიერი შრომით დაწინაურდნენ ხარატები ი. ელკანიშვილი და ი. ფედორენკო. ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ იკისრეს ყოველდღიური დავალება შეასრულონ 250 პროცენტით. მოწინავე ხარატები გადაჭარბებით ანაღდებენ ვალდებულებას, გეგმას სისტემატურად 300_350 პროცენტით ასრულებენ და ამჟამად უკვე 1960 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: ი. ელკანიშვილი (მარცხნივ) და ი. ფედორენკო ერთმანეთს უზიარებენ ჩარხის ერთ-ერთი დეტალის დამუშავების ხერხებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

საკუთარი ხელით აგებულ სახლებში იცხოვრებენ

ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს მარტო სახელმწიფო სახსრებით ამენებულ სახლებში 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი უჭირავთ. წელს მათთვის კიდევ შენდება რვა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მიუხედავად ამისა, მაინც ბინების ნაკლებობა იგრძნობა. ამიტომაც იყო, რომ საავტომობილო ქარხნის მთელმა კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი საბინაო მშენებლობის შესახებ გორკელ თანამოძმეთა ინიციატივას.

დღემდე ქარხნის მუშათა დასახლების ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლები არ იყვნენ. მას შემდეგ, რაც აქ გამოიყო 4,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი კვარტალის ასაშენებლად, ინდივიდუალური სახლების ამენების ბევრი მსურველი გამოჩნდა.

ამჟამად მუშათა დაბაში 55 ავტომობილმშენებელი იშენებს საკუთარ სახლს. ახლა სამოსახლო ნაკვეთებზე გახურებული მუშაობაა — ზოგი საშენ მასალებს იმარაგებს, ზოგი საძირკველს ყრის, ბევრმა სახლის კედლებიც კი ამოიყვანა და გადახურვისათვის ემზადება. მშენებლობას მალე დაამთავრებენ მეყალიბე ე. კახიძე, ტექნიკური კონტროლიორი ვ. გორგასლიძე, ხარატი ჯ. ბაბუნაშვილი, ლითონმსხმელი თ. ანდრეევი და სხვ.

ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს ყოველმხრივ დახმარებას უწევს ქარხნის დირექცია, რომელმაც მათ მისცა ათეულ ათასობით ცალი აგური, უფასოდ ემსახურება ტრანსპორტით, ეხმარება აგრეთვე სახლების პროექტებისა და დოკუმენტების შედგენაში. სამშენებლო მოედნებამდე გაყვანილია წყალსადენი.

გარდა ამისა, გორკელთა მაგალითისამებრ წელს ქარხნის ცალკეული საამქროები ავტომობილმშენებელთა უშუალო მონაწილეობით შეუდგებიან კაპიტალური საცხოვრებელი სახლების აშენებას. მშენებლობის თვითეული მონაწილე მიიღებს ბინას. ასეთი მშენებლობისათვის დამატებით გამოიყო ორი ჰექტარი ფართობი. ეს იქნება საკუთარი ძალებით აგებული მეორე საცხოვრებელი უბანი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭრამვაის თვითსაცლელი ვაგონები

ტრამვაის ხაზებზე ლიანდაგების შეკეთებისას კარიერებიდან ხრეში მოაქვთ ტრამვაის სატვირთო მატარებლით. როგორც ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაგვანახვა, სატვირთო ვაგონის განტვირთვას დიდი დრო სჭირდება, რაც თავის მხრივ მოითხოვს ბევრ მუშახელს. ამასთან ეს აფერხებს ტრამვაის სამგზავრო მატარებლების მოძრაობას ხაზებზე.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ვაგონშემკეთებელ სახელოსნოში ახლახან განახორციელეს მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე — დაამზადეს ტრამვაის თვითსაცლელი სატვირთო მატარებელი, რომელსაც შეუძლია გადაიტანოს რვანახევარი კუბური მეტრი ხრეში.

თვითსაცლელი მატარებლის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ხრეშის დოზირება, რაც განხორციელებულია ვაგონის სამ თანატოლ ნაწილად დაყოფით. თვითეულ ნაწილს აქვს თავისი გადასახსნელი გვერდი, ეს კი შესაძლებლობას იძლევა მოძრაობის შეუფერხებლად და ნაკლები მუშახელის გამოყენებით მივაწოდოთ ხრეში სამუშაო ობიექტს.

ახალი თვითსაცლელი ტრამვაის სატვირთო მატარებელი ამას წინათ გამოსცადეს და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა სატვირთო სამსახურს.

ინჟინერი მ. ჩოკრგოლაშვილი.

სერგი იაკობის-ძე ჟუკის დაკრძალვა

4 მარტს მოსკოვში წითელ მოედანზე დაკრძალეს გამოჩენილი საბჭოთა ჰიდრომშენებელი, აკადემიკოსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი სერგი იაკობის-ძე ჟუკი.

ს. ი. ჟუკის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერები, ინჟინრები, განსვენებულის ამხანაგები და მეგობრები. მავზოლეუმის ტრიბუნაზე არიან ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, დ. ტ. შეპილოვი.

სამგლოვიარო მიტინგზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ვ. ა. კუჩერენკო. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა, ელექტროსადგურების სამინისტროსა და ჰიდროპროექტის სახელით სიტყვა წარმოთქვა ჰიდროპროექტის უფროსის მოადგილემ — გ. ა. [illegible]. ს. ი. ჟუკი დაახასიათეს როგორც გამოჩენილი ჰიდრომშენებელი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა საბჭოთა კავშირში უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი — სტალინის სახელობის თეთრი ზღვა — ბალტიის ზღვის არხი, მოსკოვის სახელობის არხი, ელექტროსადგურები ზემო ვოლგაზე, ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგური, აგრეთვე კუიბიშევის ჰესის პირველი რიგი. უკანასკნელ ხანს ს. ი. ჟუკი ხელმძღვანელობდა სტალინგრადისა და სარატოვის ჰიდროსადგურების საპროექტო საძიებო და საკვლევ სამუშაოებს ვოლგაზე, ვოტკინისა და ქვემო კამის ჰიდროსადგურებისას — კამაზე.

სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ urნა ს. ი. ჟუკის ნეშტით საარტილერიო ზალპისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმებში დამარხეს კრემლის კედელში და დააფარეს მარმარილოს ფილა, რომელზეც ამოკვეთილია განსვენებულის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები.

მავზოლეუმის წინ გაიარეს ჯარებმა, რომლებმაც უკანასკნელი პატივი სცეს ს. ი. ჟუკს. (საკდესი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერთი უხეირო თარგმანის შესახებ

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ბროშურების გამოცემა კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე.

მისასალმებელია ასევე საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის თაოსნობა აღნიშნულ საკითხებზე არსებული ბროშურების თარგმნის საქმეში. დღემდე ითარგმნა და ქართულ ენაზე გამოიცა რამდენიმე ასეთი ბროშურა, რაც დიდ დახმარებას უწევს ამხანაგებს კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლაში. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო გამომცემლობას ამ მეტად საჭირო და საყურადღებო საქმეში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. თარგმნის საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ქართველი მკითხველი ზოგჯერ იღებს მდარე ხარისხის და დაუდევრად (თუ საქმის უცოდინარობით) შესრულებულ თარგმანს. ასეთია, მაგალითად, ნ. რ. ბიჩეკის ბროშურის „Организация планирования народного хозяйства СССР“ **ქართული თარგმანი, გამოცემული** 1956 წელს სახელგამის მიერ.

ენობრივი და სტილისტური ხასიათის მრავალი შეცდომის გარდა წიგნში გვხვდება ცალკეული სიტყვების გამოტოვების მრავალი შემთხვევა, რაც აზრს ამახინჯებს. მაგალითად, წინადადება „В практической работе центральный комитет партии, республиканские и местные партийные органы осуществляют повседневное руководство по обеспечению планомерного развития народного хозяйства (стр. 7—8) **თარგმნილია: „პრაქტიკულ მუშაობაში** პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკური და ადგილობრივი პარტიული ორგანოები ახორციელებენ ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, რათა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარება“ (გვ. 8); აქ გამოტოვებულია სიტყვა „გეგმაზომიერი“, რითაც დამახინჯებულია აზრი, ხოლო წინადადება:

„...В пятилетних планах задания по основным показателям устанавливаются с разбивкой по годам и в годовых планах—с поквартальной разбивкой“ (стр. 45) **თარგმნილია:** „...ხუთწლიან გეგმებში დავალებები განაწილებულია წლების, ხოლო წლიურ გეგმაში კი — კვარტალების მიხედვით“ (გვ. 56). აქ გამოტოვებულია სიტყვები: „ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით“, რაც მთლიანად არასწორს ხდის აზრს, ვინაიდან ხუთწლიან გეგმებში წლების მიხედვით დავალებათა განაწილება-დადგენა ხდება სახელდობრ ძირითადი მაჩვენებლების ხაზით და არა საერთოდ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მსგავსი მაგალითები ბევრია.

წიგნში დიდი რაოდენობით ვხვდებით ცალკეული სიტყვების კურიოზული თარგმნის შემთხვევებს: „Правительство“ (стр. 22) **თარგმნილია როგორც „სახელმწიფო“** (გვ. 27), Пропорции—**პრინციპები** (40 — 50), вскрытых — **ფარული** (50 — 63), производство — **საწარმო** (51—63), проекты —**პროდუქტები** (58 — 73), определение — **განაწილება** (59—74), предприятия—**დაწესებულებები** (60 — 76), вскрывающие — **ქმნიან** (67 — 85), общеплановые—**სახოგადოებრივი** (39—49), заготовка—**ჩაბარება** (43 — 54), отделы — **ორგანოები** (30 — 38) და ა. შ.

აზრების დამახინჯებული თარგმნის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს. „Суть его (демократического централизма.—თ. ჭ.) состоит в сочетании единого руководства и твердой дисциплины в выполнении решений вышестоящих органов с самостоятельным решением вопросов на местах“ (стр. 13) **თარგმნილია:** „მისი (დემოკრატიული ცენტრალიზმის. — თ. ჭ.) არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთიანი ხელმძღვანელობა და მტკიცე დისციპლინა, რაც დამახასიათებელია ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისას, ეხმარება საკითხთა დამოუკიდებელ გადაჭრას ადგილზე“ (გვ. 15). ძნელი არ არის მიხვედრა, რომ დედაში ლაპარაკია არა ერთიანი ხელმძღვანელობისა და მტკიცე დისციპლინის „დახმარებაზე“, არამედ მათი შეხამების შესახებ ადგილებზე საკითხების დამოუკიდებელ გადაჭრასთან.

„При всем многообразии и особенностях форм по различным отраслям хозяйства и культуры в них, как правило, указываются... проект плана на будущий период в абсолютных величинах и в процентах к ожидаемому выполнению плана за базисный период“ (стр. 33—34) **თარგმნილია:** „მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და მათში მოცემული კულტურის, ფორმების ნაირსახეობისა და თავისებურებათა გამო, როგორც წესი, ნაჩვენებია... გეგმის პროექტი მომავალი პერიოდისათვის, გამოხატული აბსოლუტურ სიდიდეებსა და პროცენტებში სამაზისო პერიოდის გეგმის მოსალოდნელი შესრულების დროისათვის“ (გვ. 42).

ნათელია, რომ რუსულ ტექსტში ლაპარაკია მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებზე და არა მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და მათში მოცემულ კულტურაზე. არ არსებობს მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის დარგის გამოკლებით) თავიანთი კულტურებით. დედანში ასევე ნათლად არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გეგმის პროექტი მომავალი პერიოდისათვის გამოხატულია აბსოლუტური სიდიდეებითა და პროცენტობით გეგმის მოსალოდნელი შესრულების მიმართ სამაზისო პერიოდის ან არა სამაზისო პერიოდის გეგმის მოსალოდნელი შესრულების დროისათვის, როგორც ეს თარგმანშია მოცემული.

თარგმანში ერთმანეთშია არეული სავსებით განსხვავებული მნიშვნელობის ცნებები. „საწარმოო სიმძლავრეების“ ნაცვლად ნახმარია „საწარმოთა სიმძლავრე“, „გამოყენების ხარისხის“ ნაცვლად „თვისების ხარისხი“, „ახალი სიმძლავრეების ამოქმედების ვადები“ კი შეცვლილია „ახალი სიმძლავრის ექსპლოატაციაში გაშვების მდგომარეობით“ და ამის გარდა დედაში ლაპარაკია არსებული საწარმო სიმძლავრეებისა და არა საერთოდ საწარმოო სიმძლავრეების შესახებ.

შეიძლებოდა მსგავსი მაგალითების მრავლად დასახელება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს ბროშურის ქართულ თარგმანზე. ყოველივე ეს იმითაა გამოწვეული, რომ მთარგმნელი და რედაქტორი (რედაქტორი გ. ჭანუყაძე) სრული უპასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს.

საჭიროა სახელგამმა კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე არსებული ლიტერატურის თარგმნა და რედაქტირება დაავალოს ისეთ პირებს, რომლებსაც პირნათლად შეუძლიათ ამ საქმის შესრულება.

თ. ჭიაბრიშვილი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრის ასპირანტი.

სესხის ახალი თანრიგი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ნება დართო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გამოუშვას სახელმწიფო 3 პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ახალი მეათე თანრიგი 1 მილიარდი მანეთის თანხით.

ახალი თანრიგის გამოშვება გამოწვეულია დიდი მოთხოვნილებით ამ სესხის ობლიგაციებზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობას ხელზე აქვს ამ სესხის 200 მილიონ მანეთზე მეტი თანხის ობლიგაციები.

მარტო მიმდინარე წლის იანვარში რესპუბლიკის შემნახველმა სალაროებმა მიჰყიდეს მშრომელებს სახელმწიფო 3_პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 7 მილიონ 627 ათასი მანეთის ობლიგაციები. თბილისის მშრომელებმა შეიძინეს 3.574 ათასი მანეთის ობლიგაციები, აფხაზეთის მშრომელებმა — ერთი მილიონი მანეთისა, ქუთაისის მშრომელებმა — 400 ათასი მანეთისა და ა. შ.

სესხის ახალი თანრიგის გამოშვებასთან დაკავშირებით ახლა თვითეულ ტირაჟში გათამაშდება 8.500 მოგებით მეტი, მათ შორის ორი მოგება თითო 50_ათასმანეთიანი, ხუთი მოგება — თითო 25_ათასმანეთიანი, 25 მოგება — თითო 10_ათასმანეთიანი.

ამ დღეებში თბილისის მცხოვრებმა დიასახლისმა მოლოტოვის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ამ სესხის 200_მანეთიანი ობლიგაცია № 06 (სერია 25898), რომელსაც ხვდა 50.000 ათასი მანეთი მოგება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 2 მარტი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთში იმასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის საკითხს, რომ ისრაელი არ ასრულებს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს ეგვიპტის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ, გუშინ განიხილავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორ პლენარულ სხდომაზე. დილის სხდომაზე გამოვიდნენ რუმინეთის, იემენისა და ინდოეთის წარმომადგენლები.

რუმინეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ექვსი ქვეყნის რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს ისრაელის წინააღმდეგ სანქციების გამოყენებას.

იემენის დელეგატმა კალიანმა მოითხოვა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი და „ისრაელისადმი გამოიყენოს სანქციები". მიემხრო რა ექვსი ქვეყნის რეზოლუციას, მან განაცხადა, რომ, თუ ასამბლეა ვერ შეძლებს მიმართოს „ეფექტიან მოქმედებას", თვით არაბთა ქვეყნებმა უნდა „განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას".

ინდოეთის მაჰარია, თქვა ინდოეთის დელეგატმა მენონმა, რომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ დაჯილდოდეს. შეეხო რა ღაზის რაიონის მართვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმებს, მენონმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვერ დაეთანხმება ასეთ გეგმებს.

არ შეიძლება აგრეთვე დაშვებულ იქნას, განაგრძო მენონმა, რომ დამპყრობი რაიმე პირობას აყენებდეს. მან უსიტყვოდ უნდა დატოვოს მიტაცებული ტერიტორია.

შეეხო რა აქაბის ყურის საკითხს, რომლის „ინტერნაციონალიზაცია" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს სურთ, მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ყურის წყლებზე უფლება საუდის არაბეთსა და ეგვიპტეს ეკუთვნის.

დღის სხდომაზე გამოვდა ისრაელის დელეგატი ქალი მეირი, რომელმაც გამოაცხადა „ისრაელის მთავრობის გეგმები" ეგვიპტის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ამ განცხადებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი ფარული მოლაპარაკება ვაშინგტონში, რომლის მსვლელობაშიც ისრაელს დაჰპირდნენ მის მიერ მოთხოვნილ „გარანტიებს".

თავის სიტყვაში მეირი ცდილობდა ისრაელის მთავრობის „გეგმები" წარმოუდგინა ისე, რომ ისინი „სავსებით შეესაბამებიან გენერალური ასამბლეის 2 თებერვლის რეზოლუციას", რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვდა ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების სრულ და უსიტყვო გაყვანას.

მაგრამ ისრაელის წარმომადგენლის განცხადება საწინააღმდეგოს მოწმობს. იგი ფაქტიურად ამოიწურა იმავე პირობებისა და მოთხოვნების წამოყენებით, რომლებიც უკვე არაერთგზის წამოყენებია ისრაელს მისი ამერიკელი მფარველების თანხმობით.

„ისრაელი, — თქვა მეირმა, — ახლა მზად არის თავისი ჯარები გაიყვანოს შარმ აშ-შეიხის რაიონიდან და ტირანის სრუტიდან, რაკი დარწმუნებულია, რომ ისრაელის გემები და სხვა ქვეყნების გემები მუდამ ისარგებლებენ აქაბის ყურესა და ტირანის სრუტეში თავისუფალი ნაოსნობის უფლებით". ეს მოთხოვნა ისრაელის წარმომადგენელმა იმით „ახსნა", რომ აქაბის ყურის წყლები თითქოს საერთაშორისოა.

ამ რაიონიდან ისრაელის ჯარების გაყვანა ისრაელის წარმომადგენელმა განაპირობა შემდეგ იქ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების" დაყოვნებელივ შეყვანით, რომლებიც, მისი აზრით, იქ უნდა დარჩნენ, „სანამ პრაქტიკულად უზრუნველყოფილი არ იქნება მშვიდობიანი პირობა", ე. ი. მარტივად რომ თქვათ, განუსაზღვრელი დროით.

შეეხო რა ღაზის რაიონს, მეირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი აცხადებს ამ რაიონიდან თავისი ჯარების გაყვანას და იმის იმედი აქვს, რომ „სამხედრო და სამოქალაქო კონტროლს ამ რაიონში განახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები", რომლებმაც უნდა დაიკავონ ეს რაიონი, „სანამ მიღწეულ არ იქნება მშვიდობიანი მოწესრიგება... ან გარკვეული შეთანხმება ღაზის რაიონის მომავლის შესახებ". ამრიგად, ეს რაიონიც აგრესორის საამებლად გაურკვეველი დროით, თუ სამუდამოდ არა, უნდა ჩამოაშორონ აგრესიის მსხვერპლს — ეგვიპტეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის წარმომადგენელი თავის სიტყვაში არაერთგზის მიმართავდა „საომარი მოქმედების განახლების" მუქარას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისრაელის პოზიცია ამ საკითხში სავსებით შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების „მეხედულებებს". ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ თვით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლით. ამერიკის დელეგატი ლოჯი, რომელმაც სიტყვა მეირის გამოსვლისთანავე აიღო, მიესალმა მის განცხადებას და მოუწოდებდა ასამბლეას არ განიხილოს „შენიშვნები", რომლებიც ისრაელის წარმომადგენელმა წამოაყენა, როგორც ჯარების გაყვანის პირობები, რამდენადაც ეს „შენიშვნები" წარმოადგენენ თითქოს მხოლოდ იმის „გამეორებას", რაც ნათქვამი იყო მიძღნარე წლის 2 თებერვალს მიღებულ მეორე რეზოლუციაში. ეს რეზოლუცია ასამბლეას თავს მოაბეზეს შეერთებულმა შტატებმა და იგი ბევრ რამეში ემთხვეოდა ისრაელის მოთხოვნებს.

ლოჯმა მოითხოვა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების" შეყვანა და განუსაზღვრელი დროით დატოვება ღაზის რაიონში. იგი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა ამავე პირობებით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების" შეყვანას აქაბის ყურისა და ტირანის სრუტის რაიონში.

სვამდა რა თანასწორობას ნიშანს აგრესორსა და აგრესიის მსხვერპლს შორის, ლოჯი მოუწოდებდა ისრაელსა და ეგვიპტეს „ზუსტად შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებანი" და იმუქრებოდა, რომ, „თუ ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ გამეორდა რაიმე მტრული მოქმედება ან ერთ-ერთი მხარის მიერ მისი საერთაშორისო ვალდებულებათა რაიმე დარღვევა... ამერიკის შეერთებული შტატები კონსულტაციას გამართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა წევრებთან, რათა განიხილონ შესაბამისი მოქმედება".

ესპანეთის, არგენტინის, კოსტა-რიკის, სალვადორისა და პანამის წარმომადგენლებმა მიბაძეს ლოჯს და გამოთქვეს „კმაყოფილება" ისრაელის გადაწყვეტილების გამო. საფრანგეთის დელეგატმა ჟორჟ-პიკომ სავსებით დაუჭირა მხარი პირობებსა და შენიშვნებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის წარმომადგენელთა გამოსვლები შეიცავდნენ.

ინდოეთის წარმომადგენელმა ლალმა განაცხადა, რომ მის დელეგაციას არასოდეს ექნი არ შესვლია იმაში, რომ აგრესორის ჯარები უსიტყვოდ უნდა გაიყვანონ. მან თქვა, რომ ინდოეთს დელეგაცია უფრო დაწვრილებით წინათ გამოსულ ორატორებზე უფრო გვიან ელაპარაკებს.

დღის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ეგვიპტის წარმომადგენელი ფაზი. „გენერალურმა ასამბლეამ, — თქვა მან, — მოისმინა ისრაელის წარმომადგენლის განცხადება და მთელი რიგი სხვა განცხადებანი, რომლებიც ეხება ისრაელის ჯარების გაყვანის საკითხს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასამბლეა ერთსულოვნად მოელის თავისი რეზოლუციების სრულად და პატიოსნად შესრულებას, რომლებიც მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ გაიყვანოს თავისი ჯარები. ეს პოზიცია, — ერთადერთი პოზიცია, რომლის დაკავებაც ასამბლეას შეეძლო, — უცვლელია. ვერაფერი ის, რაც ვინმემ აქ ან კიდევ სადმე თქვა, ვერ შეარყევს ამ ფაქტს და გავლენას ვერ მოახდენს მის რეალობასა და წონაზე; აგრეთვე ვერავინ ვერ მოახდენს გავლენას ეგვიპტის უფლებათა და ღაზის რაიონის არაბი მოსახლეობის უფლებათა სისრულესა და კანონიერებაზე".

ლაიპციგის ბაზრობაზე

გაიხსნა ტექნიკური გამოფენა

ლაიპციგი, 3 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა 1957 წლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობის ტექნიკური გამოფენა, აგრეთვე ქალაქის ცენტრში მდებარე საგამოფენო შენობები, სადაც უჩვენებენ ფართო მოხმარების საგნლების ნიმუშებს.

წლევანდელი საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა ყველაზე დიდია წინანდელ ბაზრობათაგან, რომლებიც ლაიპციგში ეამართულა ომისშემდგომ წლებში. თუ 1951 წელს ბაზრობაში მარტო 17 ქვეყანა მონაწილეობდა, რომლებსაც თავიანთი ექსპონატებით ეკავათ 25 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, ახლანდელ ბაზრობაზე წარმოდგენილია 40 ქვეყანა, ხოლო გამოფენის საერთო ფართობი ახლა შეადგენს 284 ათას კვადრატულ მეტრს. მარტო ტექნიკური გამოფენის ფართობი უდრის 194 ათას კვადრატულ მეტრს.

ბაზრობის ორგანიზატორის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარდა, ბაზრობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, ინდოეთი, ეგვიპტე, ფინეთი, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების მრავალი ფირმა. წელს ბაზრობაში პირველად მონაწილეობენ სირია, პაკისტანი, ისლანდია, იაპონია, ბოლივია.

გახსნილი ბაზრობის დიდ მნიშვნელობას ის ფაქტი მოწმობს, რომ ბაზრობაზე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ეგვიპტისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების ოფიციალური სავაჭრო წარმომადგენლები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ბაზრობის ტექნიკური გამოფენა დილაადრიან დაათვალიერეს საპატიო სტუმრებმა, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მეთაურობით, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა, საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ი. გ. კაბანოვის მეთაურობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციებმა.

შუადღისას ტექნიკური გამოფენის პავილიონების კარები ფართოდ გაიღო მნახველთათვის. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის პავილიონი. მნახველნი ინტერესით ათვალიერებენ საბჭოთა ჩარხმშენებლობის, მანქანათმშენებლობის პროდუქციას, სხვადასხვა სამრეწველო ტექნიკურ მოწყობილობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პავილიონში გამოფენილია მრავალი სამრეწველო ექსპონატი, რომლებიც ცხადყოფენ ჩინეთის ეკონომიკის განვითარების წარმატებებს. რამდენიმე პავილიონში და გამოფენის ღია მოედანზე განლაგებულია ბაზრობის ორგანიზატორის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ექსპონატები. მათ შორის გამოირჩევა მანქანათმშენებელი, ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქცია.

სსრ კავშირის დახმარება წყალდიდობით დაზარალებული ინდოეთის მოსახლეობისადმი

ლიბიაში, ვადი მაჯინინის რაიონში, მოხდა წყალდიდობა, რის შედეგად მოისპო ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი და დაინგრა გლეხთა ბევრი საცხოვრებელი სახლი.

სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ლიბიაში ს. ა. ნემჩინოვმა 2 მარტს ინახულა ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი საჰილი და სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა წყალდიდობით დაზარალებულთ და აცნობა, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომი ლიბიის „ვადი მაჯინინის რაიონში წყალდიდობით დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის უმაღლეს კომიტეტს" უგზავნის ათი ათას მანეთს.

ალი საჰილმ ლიბიის მთავრობის, ხალხისა და პირადად თავისი სახელით მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომს დაზარალებულთადმი თანაგრძნობისა და ამასთან დაკავშირებით დახმარების გაწევისათვის.

ნორვეგიის კომპარტიის IX ყრილობა

1-3 მარტს ოსლოში მუშაობდა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყრილობას დაესწრო 240-მდე დელეგატი და სტუმარი, მათ შორის მთელი რიგი ქვეყნების მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა პარტიის თავმჯდომარის ე. ლეგლეენის მოხსენება „ნორვეგიის კომპარტია მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში", ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება და მოხსენება ორგანიზაციულ საკითხებზე.

3 მარტს ყრილობის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი რეზოლუციები და განცხადებანი აქტუალურ შინაპოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებზე.

ყრილობაზე მიღებულ საერთო პოლიტიკურ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ნორვეგიელი ხალხი ძლიერ და სულ უფრო მზარდ მისწრაფებას იჩენს მშვიდობისა და უზრუნველყოფილი მომავლისადმი. ამავე დროს ნორვეგიის მშრომელნი სულ უფრო მეტად უპირენ მხარს მოთხოვნას ნორვეგიის ახალი პოლიტიკური კურსის შესახებ.

ყრილობა მოუწოდებს ყველა ნორვეგიელ მშრომელს გაერთიანდნენ შემდეგი მოთხოვნების გარშემო: ნორვეგიის ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, შეიარაღების ტვირთის შემსუბუქება და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება, ყველა სახეობის თერმოატომგულის იარაღის წარმოების აკრძალვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება, ყველა სამხედრო ბლოკის დაშლა და უცხოეთის ჯარების ბაზების ლიკვიდაცია ყველა ქვეყნის ტერიტორიებზე.

შემდეგ რეზოლუციაში წამოყენებულია მოთხოვნები: მშრომელთა ცხოვრების დონის თანმიმდევრული ამაღლება, უდიდესი კერძო ბანკების, დამზღვევ საზოგადოებათა და უმნიშვნელოვანეს სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია, ფასების მტკიცე დონის შენარჩუნება, შრომისაგან ჩვეულებრივი შემოსავლის დაბეგვრის შემცირება, სოციალური დაზღვევის არსებული სისტემის გაუმჯობესება და სხვ.

ასეთ საფუძველზე, ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, ჩვენი პარტია მზად არის ითანამშრომლოს ჩვენი ქვეყნის მთელ დადებითს შემოქმედებითს ძალებთან. ასეთ საფუძველზე ჩვენ მზად ვართ ჩვენი ქვეყნის მუშაობა მოძრაობის ორგანიზაციული გაერთიანებისათვის.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია სტორტინგის (ნორვეგიის პარლამენტი) არჩევნების გამო, რაც დანიშნულია მიმდინარე წლის სექტემბერში.

ყრილობამ აირჩია ნორვეგიის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. კომპარტიის თავმჯდომარედ ერთხმად ხელახლა იქნა არჩეული ე. ლეგლეენი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია 30 კაცი. არჩეულ იქნა აგრეთვე ცენტრალური საკონტროლო კომისია 5 კაცის შემადგენლობით, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია რ. დალანდი.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარემ ე. ლეგლეენმა, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ ყრილობამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ნორვეგიის მუშათა კლასის გაერთიანებისა და აქტივიზაციის მიზნით მშვიდობისათვის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წერილი ქალთა მომავალი საერთაშორისო დღის გამო

ბერლინი, 2 მარტი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ქალთა საერთაშორისო დღესთან — 8 მარტთან დაკავშირებით შემდეგი წერილი გამოაქვეყნა:

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მიესალმება ყველა ქალს და ქალთა ყველა ორგანიზაციას.

ქალთა საერთაშორისო დღე 1910 წელს მისი დაწესების მომენტიდან გახდა დღედ, როცა ქალები გამოხატავენ თავიანთ მისწრაფებებს და თავიანთ ნებას — მიაღწიონ სრულ თანასწორუფლებიანობას.

ქალთა მოძრაობა, რომელიც ერთგულად იცავს წარსულის კეთილშობილურ ტრადიციებს, ამაყობს უკვე მიღწეული წარმატებებით და იმ წვლილით, რომელიც ქალებმა შეიტანეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. წლითიწლობით სულ უფრო მეტი ქალი იწყებს თავისი ძალების შეგნებას და გრძნობს, რომ უნარი შესწევს გავლენა მოახდინოს საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობაზე. ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გამამხნევებელია ის გარემოება, რომ მილიონობით ქალი ჩაება თავიანთი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს, რომელიც წელს აღინიშნება, მთელი მსოფლიოს ქალები და დედები, რომლებიც სერიოზულად არიან შეშფოთებულნი მსოფლიოში ამას წინათ მოხდარი ამბებით, ცხადყოფენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობა.

ქალები, რომლებმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გაიმარჯვოს ევენესისა და ბანდუნგის სულისკვეთებამ, გააძლიერებენ თავიანთ სიფხიზლეს, რათა დაიცვან შვილები ომის საშინელებისაგან და გაიმარჯვონ მათზე, ვინც ძალის პოლიტიკას ახორციელებს.

1957 წლის 8 მარტს ქალები კვლავ აიმაღლებენ ხმას სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის პრინციპის დასაცავად, სამხედრო ბლოკების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია კვლავ აცხადებს თავის მეგობრულ გრძნობებს და თავის მისწრაფებას ითანამშრომლოს ქალთა სხვა ორგანიზაციებთან, რადგან დარწმუნებულია, რომ ამჟამად უფრო მჭიდრო ურთიერთობა შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აღმოჩნდეს ნაყოფიერი უკვე მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების და ჩვენი საერთო მიზნების — ჩვენი შვილების ბედნიერების, მსოფლიოს ქალთა თანასწორუფლებიანობის უფრო სწრაფად მიღწევის საქმეში.

გორელ სცენისმოყვარეთა სპექტაკლზე

თეატრის დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. იხსნება ფარდა, მაყურებელმა იცის, რომ სპექტაკლში პროფესიონალი მსახიობები არ მონაწილეობენ, ისინი მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის გორის საქალაქო კომიტეტთან არსებული დრამატული კოლექტივის წევრები არიან. მათ სპეციალური თეატრალური განათლება არ მიუღიათ, პროფესიონალ ექიმები არიან და ამასთან ერთად გატაცებული არიან თეატრალური ხელოვნებით.

სულ რაღაც შვიდიოდე წლის ისტორია აქვს გორის მედიცინის მუშაკთა დრამატულ კოლექტივს. იგი 1950 წელს ჩამოყალიბდა. მას დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი შ. ხერხეულიძე. ამ ხნის განმავლობაში თვითმოქმედმა კოლექტივმა მრავალი სკეტჩი, სატირული და ერთმოქმედებიანი პიესა უჩვენა მაყურებელს.

გორის მედიცინის მუშაკთა თვითმოქმედი კოლექტივის პირველი სერიოზული დადგმა იყო დრამატურგ გრიგოლ ბერძენიშვილის პიესა „ყვავილობის თვე". თვითმოქმედმა კოლექტივმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა გორის თვითმოქმედი კოლექტივების საქალაქო დათვალიერებაში, სადაც იგი დაჯილდოებულ იქნა საპატიო სიგელებით.

ორშაბათს, 4 მარტს, მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის გორის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა ა. ხ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში თბილისელ მაყურებელს უჩვენა რ. ყენიას პიესა „საგზურები". დადგმა — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის შ. ხერხეულიძისა, მხატვარი — კ. კვალაშვილი, მუსიკა — ი. იარშისა.

დრამატურგ როსტომ ყენიას პიესა — „საგზურები" მეტად აქტუალურ თემაზეა დაწერილი. იგი ეხება ჩვენი ახალგაზრდობის მტკივნეულ საკითხს — უმაღლეს განათლებამიღებული ზოგიერთი ჭაბუკი და ქალიშვილი, როგორ არიდებს თავს რაიონში სამუშაოდ წასვლას. სპექტაკლი ძირითადად ვითარდება ორი სიუჟეტური ხაზით. დამდგმელს წინა პლანზე წამოუწევია, ერთმანეთისათვის დაუპირისპირებია ერთი მხრივ ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის წარმომადგენლები რევაზი, თეონა, ზვინანი და მეორე მხრივ ისეთი ადამიანები, რომლებიც გაურბიან კეთილსინდისიერ შრომას და ჭორიკანობასა და ღვინის სმაში ატარებენ დროს — ესენი არიან მათეცირა, კვატატი და ლეტიცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ საავადმყოფოს დირექტორი ბიუროკრატი ლევანი, რომელიც დამოუკიდებელი მუშაობის საშუალებას არ აძლევს ახალგაზრდებს, ხოლო თვითონ გარყვნილ ცხოვრებას ეწევა, და დირექტორის მოადგილე ექიმი თამარი, რომელიც ალაშქრებს ლევანის არაკეთილსინდისიერი მოქმედების წინააღმდეგ.

როლების უშალობითა და დამაჯერებელი შესრულებით მაყურებელზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს გორის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორმა ვერა ფიდიურმა (ლეტიცია), გორის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგემ ნატა ხერხეულიძემ (თამარი), ექიმებმა გულნარა ნადარეიშვილმა (ცირა), აკაკი ტორჩინავამ (კვატატი), ვახილ კასრაძემ (მათე), ანდრო რუსიტაშვილმა (ლევანი), ოთარ კორინთელმა (რეზო), რომლებმაც შექმნეს სიცოცხლით სავსე სახეები.

სპექტაკლის წარმატებას აგრეთვე ხელს უწყობენ ექიმები იოსებ ამბოკაძე, ქეთევან ბათიაშვილი, ლეილა ჯაბაური, ეთერ ბუეულაშვილი, ოთარ ხანიაშვილი, თამარ ლომინაძე.

გორელ სცენისმოყვარეთ მიესალმნენ საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბთან არსებული თეატრალური კოლექტივის სახელით საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კობახიძე, ქალაქ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სანატორიული კულტურის სახლისა და სახლთან არსებული თეატრალური კოლექტივის სახელით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინოძე, თბილისის სამედიცინო საზოგადოებისა და პროფკავშირების სახელით ექიმი მ. გაბელია.

ბ. ბახტურიძე.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „საგზურები". ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 3 მარტი. (საკდესი). დღეს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა საბოლოო შეხვედრა მსოფლიო პირველობაზე ბურთიან ჰოკეიში, თამაშობდნენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის გუნდები. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 6 : 1.

ამრიგად, ასპარეზობის შედეგად მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის გუნდმა. ფინეთის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზეა შვეიცის გუნდი.

შეხვედრის შემდეგ ტაშის გრიალსა და სტადიონზე მყოფი მრავალათასიანი საზოგადოების მისასალმებელ შეძახილებში საბჭოთა გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი, ხოლო გუნდის ხელმძღვანელებს და ყველა მოთამაშეს — ოქროს მედლები. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). დღეს შანხაიში 60 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდსა და შანხაის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს შორის. ანგარიშით 4 : 1 მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

სასამართლოს დარბაზიდან

ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲯᲐᲜᲔᲡ

გუშინ თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონების სახალხო სასამართლოებმა გაასამართლეს ხულიგნების ჯგუფი, რომლებიც შეეცადნენ კარლ მარქსის მოედანზე მოეხდინათ დებოში, არ დაემორჩილნენ მილიციის წარმომადგენელთა კანონიერ მოთხოვნებს.

გასამართლებულთა შორის არიან გაურკვეველი პროფესიის პირი თ. დ. მაისურაძე, თბილისის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების დარაჯი ა. მ. ოგანეზოვი, არტელ „გამარჯვების" თანამშრომელი ა. ფ. შიშოვი, გაურკვეველი პროფესიის პირები გ. ა. წოწოლაშვილი და თ. ა. გულდედავა და სხვები.

ხულიგნებს სასამართლომ მიუსაჯა თავიანთ სუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

სასამართლოს განაჩენს დამსწრენი მოწონებით შეხვდნენ.

ს. ეკალაძე.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲠᲘᲦᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ